



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 124

2019 წლის 12 ნოემბერი

ქ. თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების
ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების
ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო
კონკურსის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს N133/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-
2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა
რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28
ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის
საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის სპეციალისტის
სამსახურებრივი ბარათის (N1535329, 11.11.2019) შესაბამისად,

ვბრძანებ:


1. გამოცხადდეს 2019 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდისა (შემდგომში - ფონდი) და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი
სამეცნიერო გრანტების კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის
შესაბამისად;
4. დამტკიცდეს „პროექტის რეზიუმე“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის
შესაბამისად;
6. დამტკიცდეს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის
შესაბამისად;
7. დამტკიცდეს პროექტის განხორციელების ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთების ფორმა ამ
ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

შემსრულებელი:
ადმინისტრაციული და იურიდიული
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი




შეთანხმებულია:


ადმინისტრაციული და იურიდიული
დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ბუთლიაშვილი



საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
მალხაზ ხოფერია



გენერალური დირექტორის მოადგილე ნინო გაჩეჩილაძე



001472

9. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
11. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

